

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—დეკემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის ოფიცრის გენო ქარუმიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" იმ-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ერთი ჩიხის და ერთი გასასვლელის მიენიჭოს ოფიცრის გენო ქარუმიძის სახელი, ხანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე


გიორგი ტყემალაძე

გენო ქარუმიძის ქ.

X 477619 Y 4612142

X 477750 Y 4611758

X:477381 Y:4611781





გუნო ქარუშობის ქ.

იგაბ.

იბობო

X-477053 Y 4612677


X-477774 Y 4612249

X-477678 Y 4612194

X-477664 Y 4612180

X-477619 Y 4612142

X-477711 Y 4612117



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—დეკემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახულო ქუჩისათვის იუნკერ ოთარ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, "მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და ქობილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქობილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14 59 დადგენილების განახმად, ქობილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახულო ქუჩას მიენიჭოს იუნკერ ოთარ ლორთქიფანიძის სახელი, "თავდაპირველი რუკის თანახმად."

2. ქობილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ობილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯიამ (მოსამართლე: ქ.ობილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქის მთავრობის განკარგულებაშია ქობილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაშია

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



X:477298 Y:4612765

ოუნკურ თათარ ღირთოქიფუნძის ქ.

X:478055 Y:4611851



**სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06-032 422851-03

15 / აგვისტო / 2024 წ.



KA011745236346424

№ 181711

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 12 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M24013009 განცხადებით მომართა ფრიდონ მჭედლიძემ (პ/ნ:01021008004), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი (საკადასტრო კოდით N 01.81.02.401.003).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 01.81.02.401.003) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.


(დანართი: 1 გვერდი)

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: **03-032425463**
თარიღი: **10/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 15 აგვისტოს საქმე #06-032422851-03 დაკავშირებით, რომლითაც ფრიდონ მჭედლიძის M24013009 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება (ს.კ.01.81.02.401.003).

გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ტაბახმელას ტერიტორიაზე მდებარე სამი უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული კირი - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 16-0124281813

თარიღი: 07/10/2024

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-032428183-03

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 10.09.2024 წლის #03-032425463 (11.09.2024 წ. #17-012425547-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





გენო ქარუმიძე

(1892-1921)

ოფიცერი, მზვერავი, დაიღუპა 1921 წელს გმირულად კოჯორის მისადგომებთან

დაიბადა გორში. გენო ლავრენტის ძე ქარუმიძე 1892 წელს დაიბადა ქალაქ გორში, მრავალშვილიან ოჯახში. მამულები მის ოჯახს ქართლის სოფლებში - ხურვალეთსა და თორტიზაში ჰქონდა. თავად კი გორში ცხოვრობდნენ. ქარუმიძეები აზნაურები იყვნენ. მოგვიანებით მათ ოჯახს მამულები ჩამოართვეს. მცირე მიწის ნაკვეთი დაუტოვეს. სადაც ხორბალი მოჰყავდათ და ოჯახის საარსებოდ ჰყოფნიდათ. გენო ქარუმიძემ გორიელ თამარ კვალიაშვილზე იქორწინა. წყვილი ჩუმად გაპარულა სოფელ თორტიზაში და ჯვარი დაუწერიათ. მათ შეეძინათ სამი ქალიშვილი: თინათინი, მაკრინე და ბარბარე.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ გენო ქარუმიძე თბილისის სამხედრო აკადემიაში შევიდა და სამხედრო კარიერას გაჰყვა. 1921 წელს შტაბს-კაპიტნის წოდება მიანიჭეს.

დაამთავრა თბილისის სამხედრო აკადემია. 1921 წელს მიენიჭა შტაბს-კაპიტნის წოდება. თავის ასეულთან ერთად ახალციხეში გაანაწილეს, ბრძანების თანახმად, ახალციხეში მდგომი ნაწილი კოჯორში გამოიძახეს. ქარუმიძის ასეული ახალციხიდან მატარებლით წამოვიდა და გზად გორში შეჩერდა. იგი ოჯახის სანახავად მოსულა შინ. ამასობაში კი ასეულმა გაასწრო კოჯორში. მიუხედავად დიდი თხოვნისა, ოჯახი აღარ დაეტოვებინა და დარჩენილიყო. მხედრული მოვალეობის ერთგული დარჩა და ჯარს კოჯორში დაეწია.

ქართველი მოღვაწე შალვა მაღლაკელიძე, რომელიც მაშინ თბილისის გუბერნატორი იყო თავის მოგონებებში ბრძოლის ველს და 1921 წლის მოვლენებს ასე აღწერს: "კოჯორის გზაზე მოდიოდნენ (მე-11 არმია). მაყაშვილის ქალი დაიღუპა. გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბი იყო კოჯორის გზაზე, იქ მივდიოდი მანქანით და ეს ქალი ვნახე მოკლული აეროპლანის ბომბის შედეგად. ჩვენს ავიაციას ორი აპარატი ჰქონდა, მაგრამ ორივე გაფუჭებული. იმათი

აეროპლანები თავისუფლად შემოვიდნენ და კოჯრის გზაზე ბომბები ჩამოყარეს. მე ჩემი თანამდებობის გამო ომში უშუალო მონაწილეობას არ ვიღებდი, ასე ვთქვათ, ადმინისტრატორი ვიყავი. წესისათვის და რიგისათვის სხვა ფუნქციები მქონდა, მაგრამ მიხდებოდა ფრონტზე გასვლა. მე ხომ ზურგი ვიყავი და უნდა მივხმარებოდი ხალხით, ტრანსპორტით, იარაღით, პურით. ამიტომ გავდიოდი ხოლმე წინა ხაზზე, განსაკუთრებით კოჯრის მიმართულებით. პირადად ბრძოლაში მონაწილეობა მივიღე ოქროყანაში. გენო ქარუმიძე იყო ოფიცერი და შეტევაზე იყო გადასული რუსებთან, ოქროყანის ზემოთ. მე გადმოვედი ავტომობილიდან და ბრძოლაში მივიღე მონაწილეობა სრულიად შემთხვევით. გენო ქარუმიძის ასეული პირდაპირ შეტევაზე იყო გადასული რუსებთან. პოზიციური ბრძოლები არ იყო, არამედ ასე, 30 კაცი მიდიოდა ერთმანეთზე ხიშტებით. ანდრონიკაშვილის დუქანი იყო ზევით, კოჯრის გზაზე, "თეთრი დუქანი" და შტაბი იქ ჰქონდათ. ვხედავ, გენო დაჭრილია. იქვე სვეტიან ლორთქიფანიძე არის, კაპიტანი, ისიც ხიშტით დაჭრილი და უნდა მივეხმარო. ავიყვანე ორივე და ჩავსვი ავტომობილში. მთლიანად შევიღებე მათი სისხლით". ქართველმა დისიდენტმა ვიქტორ რცხილაძემ ეს ცნობა 1921 წლის ომის ამბების შესახებ შალვა მალაყელიძისგან ჩაიწერა. ასე შემოინახა ისტორიამ გენო ქარუმიძის დაღუპვის ამბავი. 1921 წლის გაზით "საქართველოს" თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ნეკროლოგი გენო ქარუმიძის დაღუპვის შესახებ. გარდაცვლილი ოფიცერი ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენეს და დაკრძალეს იქვე, ეკლესიის ძმათა სასაფლაოზე. მოგვიანებით ძმათა სასაფლაოს ადგილას პარლამენტის შენობა აიგო და გარდაცვლილთა საფლავები დაიკარგა.

გენო ქარუმიძე 29 წლის ასაკში დაეცა ბრძოლაში. მისი სახელი ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. მის მსგავსად, კიდევ არაერთი ქართველი ჯარისკაცის თავდადებაა უცნობი და ისტორიისგან მივიწყებული.



ოთარ ლორთქიფანიძე

იუნკერი, 1921 წლის კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე დაღუპული მებრძოლი

1921 წლის 24 თებერვალს, როცა წითელარმიელებმა სანგარი დაიკავეს, ღია მინდორზე კონტრიერიზზე გადასულ ქართველ იუნკრებს ტყვიამფრქვევით უპასუხეს. იუნკერთა ასეული სიკვდილისგან შალვა ერისთავმა იხსნა.

ერისთავმა, რომელიც სამხედრო სკოლაში სწავლის დაწყებამდე თბილისში განთქმული ფეხბურთელი და მორბენალი იყო, ტყვიამფრქვევამდე არსებული მანძილი სწრაფად გაირბინა, ხიშტით განგმირა მემიზნე და საკუთარი სიცოცხლის ფასად საცეცხლე პოზიცია გააუვნებელყო, რითაც თანამებრძოლებს საშუალება მისცა კონტრშეტევა წარმატებით დაესრულებინათ.

კონტრშეტევას მის გარდა ორი იუნკერი, ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი შეეწირა, დაიჭრა სამი ოფიცერი და 15 იუნკერი.